

მოსმარების მაკროეკონომიკური თეორიის ევოლუცია

ნიკოლოზ ოსტაპენკო

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკურ მეცნიერებათა მაგისტრი
ა(ა)იპ-საქართველოს ეკონომიკური კვლევების ბიუროს დამფუძნებელი,
გამგეობის წევრი
სულხან ტაბაღუა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკურ მეცნიერებათა მაგისტრი
ა(ა)იპ-საქართველოს ეკონომიკური კვლევების ბიუროს დამფუძნებელი,
აღმასრულებელი დირექტორი

მოსმარების თეორიასა და მოსმარების ფუნქციის ანალიზს მაკროეკონომიკაში
საკვანძო ადგილი უჭირავს. იგი მნიშვნელოვანია დანაზოგების ფუნქციის და აქედან
გამომდინარე საინვესტიციო რესურსების, გრძელვადიანი ეკონომიკური წონასწორობისა
და მოკლევადიანი ეკონომიკური რყევების მიზეზების, პირობებისა და
მულტიპლიკატორული ეფექტის ანალიზისათვის.

სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვის დროს მოსმარების თეორიისა
და მოსმარების ფუნქციის მნიშვნელოვნების გამო, ის დიდი ხანია, რაც ეკონომისტთა
კვლევის ობიექტია. ეკონომიკის ისტორიის მიხედვით ხშირ შემთხვევაში სწორედ
მოსმარებაში მომხდარი ცვლილებები ხდებოდა ეკონომიკური კრიზისების ერთ-ერთი
მთავარი წინაპირობა.

მოსმარების თეორიული საფუძვლების კვლევას ჩვენ XIX საუკუნის ცნობილი
ფრანგი ეკონომისტის ჟან ბატისტ სეის (Jean-Baptiste Say, 1767-1832¹) „ჭარბწარმოების
შეუძლებლობის თეორიიდან“ ვიწყებთ [1, გვ. 137]. აღნიშნული თეორია წარმოადგენს
კლასიკური სკოლის საფუძველს, საიდანაც გამომდინარეობს, რომ მიმდინარე
შემოსავლები ვერ იქნება მოსმარების განმსაზღვრელი დომინირებადი ფაქტორი. სეის
„ჭარბწარმოების შეუძლებლობის თეორიას“ სხვაგვარად სეის „მიწოდების კანონს“
უწოდებენ, აღნიშნული თეორიის ყველაზე ცნობილი ინტერპრეტაცია „მიწოდება

¹ აქ და შემდგომშიც აღნიშნული მიუთითებს ცალკეული მეცნიერის მოღვაწეობის წლებზე

წარმოშობს შესაბამის მოთხოვნას“ ჯონ მეინარდ კეინზს (John Maynard Keynes, 1883-1946) ეკუთვნის, რომელიც თავის მხრივ ჯონ სტუარტ მილის (John Stuart Mill, 1806-1878) ამ კანონის ინტერპრეტაციიდან „ყველა გამყიდველი თავისი არსით მყიდველი გამოდის“, იღებს სათავეს[2, გვ.72]. სეი კი ბაზარზე ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების ურთიერთგანპირობებულობაზე მიუთითებდა. სეი უგულებელყოფდა ფულის ღირებულების შენახვის ფუნქციას და განმარტავდა, რომ ადამიანები ბაზარზე გამოდიან იმისათვის, რომ ერთის მხრივ აწარმოონ საქონელი და მეორეს მხრივ, აღნიშნული საქონლით შეიძინონ მათთვის სასურველი სხვადასხვა საქონელი. რა თქმა უნდა ცალკეული საქონლის ჭარბწარმოება შესაძლებელია და ამის უარყოფას არც სეი ცდილობდა, რადგან მიკროეკონომიკურ დონეზე მოთხოვნა-მიწოდების მრუდები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ფუნქციებია. მაკროეკონომიკური ერთობლივი მოთხოვნა-მიწოდების ფუნქციები ურთიერთ-დამოუკიდებლობის თვისებით არ ხასიათდებიან და პირიქით, ერთმანეთს განაპირობებენ. სეის „მიწოდების კანონი“ ერთმანეთისგან მიჯნავს მაკროეკონომიკურ და მიკროეკონომიკურ ანალიზს. ამიტომ მაკროეკონომიკური გადმოსახედიდან, თუკი რომელიმე ერთი საქონლის ჭარბი მიწოდება წარმოიშევა, ის ავტომატურად წარმოშობს სხვა საქონელზე ჭარბ მოთხოვნას, რომლებიც აბალანსებს ერთმანეთს. სეის შეხედულება უდავოდ სამართლიანია ბარტერული გაცვლის პირობებში, თუმცა აღნიშნული დასკვნების განზოგადება არაბარტერული ეკონომიკისათვისაც (ფულადი ეკონომიკისათვის) შესაძლებელია. კერძოდ, თუკი ფულის ბაზარს ცალკე განვიხილავთ, ვნახავთ, რომ როცა საქონლისა და მომსახურების ბაზარზე ჭარბი მიწოდება წარმოიშევა, ეს წარმოშობს ჭარბ მოთხოვნას ფულის ბაზარზეც, სეის კანონის მიხედვით სისტემა წონასწორობაში უნდა იყოს, რაც გულისხმობს ფულის ბაზრის „მუდმივ“ წონასწორობაში ყოფნას, ხოლო თუ ფულის ბაზარი მუდმივ წონასწორობაში იქნება, მაშინ ეს ფულის ღირებულებას განუსაზღვრელს გახდის და რა ფაქტორებიც არ უნდა განსაზღვრავდეს მას, მათი ბუნება არასაბაზრო იქნება. სეის კანონიდან გამომდინარე ფულის უპირობო ნეიტრალობას ადგილი ექნება, მხოლოდ მაშინ თუ ფული თანაბრად განაწილდება საზოგადოების წევრებს შორის. მაშასადამე შემოსავლის განაწილება მჭიდრო კავშირშია ფარდობითი ფასების ცვლილებასთან და აქედან გამომდინარე მოგების ნორმის ცვლილებასა და საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებასთან.

დევიდ იუმის (David Hume, 1711-1771) და რიჩარდ კანტილიონის (Richard Cantillon, 1680-1734) „პირდაპირი მექანიზმის“ კონცეფცია განიხილავს სეის კანონის ფარგლებში ფარდობითი ფასების ცვლილების მექანიზმს[1, გვ.143]. აღნიშნული კონცეფციის

მიხედვით, როცა საქონლისა და მომსახურების ბაზარზე გვაქვს ჭარბწარმოება და მოთხოვნის დონე ვერ უზრუნველყოფს ისეთ ფასების დონეს, რომელიც თვითღირებულებაზე მეტი იქნება და „ნორმალური მოგების კრიტერიუმს“² დააკმაყოფილებს, ეს წარმოშობს ჭარბ მოთხოვნას რეალური ფულის მარაგებზე და ფასები უნდა შემცირდეს. წონასწორობა ორივე ბაზარზე დამყარდება ფასების კლების და საპროცენტო განაკვეთის ზრდის შედეგად. მნიშვნელოვანი დასკვნა, რომელიც „პირდაპირი მექანიზმიდან“ გამომდინარეობს, არის ის, რომ შემოსავლის ეგზოგენური ზრდა ფარდობით ფასებს ცვლის და მისი მეშვეობით ახდენს საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე გავლენას, რაც თავის მხრივ ეკონომიკის სტრუქტურას ცვლის და წონასწორობის დამყარება ახალი ფარდობითი ფასების ვექტორის პირობებში ხდება.

ზემოთ განხილული „პირდაპირი მექანიზმის“ კონცეფციას, მივეყვართ მოხმარების კლასიკურ თეორიამდე, სადაც მნიშვნელოვანია განვიხილოთ ჰენრი ტორნტონისა (Henry Thornton 1760-1815) და დევიდ რიკარდოს (David Ricardo 1772-1823) „ირიბი მექანიზმის“ კონცეფციაც, რომელიც განიხილავს საქონლისა და მომსახურების, ფულის და სასესხო კაპიტალის ბაზრის ურთიერთკავშირს[1, გვ.146]. ტორნტონის მტკიცებით, ფულის ბაზრის წონასწორობა ეკონომიკაში მიიღწევა მხოლოდ მაშინ, როცა ფულის ბაზარზე საპროცენტო განაკვეთი სასესხო საშუალებების ბაზარზე დაბანდებული კაპიტალის მოგების ნორმის ტოლია. სხვა მხრივ ფულის დამატებითი მიწოდება საკრედიტო ბაზარზე მხოლოდ საბანკო სისტემის მხრიდან შეიძლება განხორციელდეს (ინფლაციური საბანკო კრედიტი). სასესხო საშუალებების დამატებითი მიწოდება მოგების ნორმასთან შედარებით ამცირებს საპროცენტო განაკვეთს. დაკრედიტების მოცულობა კი იზრდება საინვესტიციო საქონელზე ფასების ზრდის კვალობაზე, რომელიც ასტიმულირებს მოთხოვნას სასესხო საშუალებებზე. საბოლოო ჯამში მოთხოვნა და მიწოდება სასესხო საშუალებების ბაზარზე ერთმანეთს უთანაბრდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, სანამ საპროცენტო განაკვეთი იქნება მოგების ნორმაზე ნაკლები, მოთხოვნა სასესხო საშუალებებზე დაუკმაყოფილებელი დარჩება, რაც საპროცენტო განაკვეთის ზრდას განაპირობებს. როცა მოგების ნორმა და საპროცენტო განაკვეთი ერთმანეთს გაუთანაბრდება მიიღწევა ეკონომიკური წონასწორობა. მაშასადამე წონასწორობა დამყარდება გაზრდილი ფასების და „თავდაპირველი“ საპროცენტო განაკვეთის პირობებში. აქედან გამომდინარეობს

² აღნიშნული ტერმინი გულისხმობს ისეთი მოგების მიღებას, რომელიც მეტი იქნება საზოგადოების მთლიან დანახარჯებზე (თვითღირებულება+ალტერნატიული დანახარჯები).

კლასიკოსების დასკვნა, რომ სასესხო კაპიტალის ბაზარზე წონასწორობას ამყარებს საპროცენტო განაკვეთი.

ვინაიდან კლასიკოსები სეის კანონიდან გამოდიან და ეყრდნობიან ტორნტონ-რიკარდოს ე.წ. „ირიბ მექანიზმს“ და კანტილიონის ეფექტს, რომლის მიხედვითაც მოთხოვნა სასესხო კაპიტალის ბაზარზე საპროცენტო განაკვეთით განისაზღვრება, ხოლო რეალური დანაზოგებისა და საბანკო კრედიტის ნებისმიერი დონისათვის არსებობს ისეთი ფასების დონე და ფარდობითი ფასების ვექტორი, რომელიც უტოლებს ერთმანეთს საპროცენტო განაკვეთსა და მოგების ნორმას, რისი საშუალებითაც სასესხო კაპიტალის ბაზარზე მყარდება წონასწორობა. მაშასადამე, კლასიკური მიდგომა გულისხმობს, რომ დანაზოგები არის საპროცენტო განაკვეთის, მოგების ნორმისა და ფასების რთული ფუნქცია, რომელიც დამოკიდებულია საინვესტიციო შესაძლებლობებზე. მაშინ როცა კეინზის თეორიაში დანაზოგები (მოხმარება) არის მიმდინარე შემოსავლების ფუნქცია.

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული ავტონომიური ხარჯების ზრდას შეუძლია შემოსავლების გადანაწილების შედეგად კანტილიონის ეფექტის ხარჯზე, შეცვალოს ფარდობითი ფასები და ეკონომიკის სტრუქტურა, რომლის უპირობო შედეგიც ეკონომიკის წახალისება არ არის.

კეინზს საკუთარ კონცეფციაში შემოაქვს ავტონომიური ხარჯების მულტიპლიკატორის ცნება, რომლის მიხედვითაც ავტონომიური ხარჯების ცვლილებას უფრო მეტად უნდა გაეზარდა შემოსავლები ვიდრე თავად ეს ავტონომიური ხარჯების ნაზრდი იქნებოდა. რისი ექსტრაპოლაციაც სახელმწიფო ხარჯებზეც მოხდა³.

კეინზი ავტონომიური ხარჯების მულტიპლიკატორს „მოხმარებისადმი ზღვრულ მიდრეკილებას“ უკავშირებს. მისი მტკიცებით არსებობს მჭიდრო ფუნქციური კავშირი მოხმარებასა და მიმდინარე შემოსავლებს შორის, რომლებიც ერთმანეთს მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილებით უკავშირდება $(C_t = a + b \times Y_{d,t})$. მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება კეინზის „ძირითადი ფსიქოლოგიური კანონიდან“ გამომდინარეობს და განსაზღვრავს, რომ შემოსავლის ზრდასთან ერთად მოხმარება მცირდება, დანაზოგები კი იზრდება, ხოლო ეს დამოკიდებულება სტაბილურია.

მაშასადამე, კეინზის თეორია ეყრდნობოდა ორ ძირითად ჰიპოთეზას. პირველი, რომ მიმდინარე შემოსავალი არის მოხმარების ყველაზე მნიშვნელოვანი

³ კეინზი მულტიპლიკატორის იდეას რიჩარდ ფერდინანდ კანს (Richard Ferdinand Kahn, 1905-1985) დაესესხა. კანი თავის ნაშრომში “The Relation of Home Investment to Unemployment” ინვესტიციების ზრდას მულტიპლიკატორული მექანიზმით დასაქმებას უკავშირებდა[2,გვ.177].

განმსაზღვრელი ფაქტორი, შემოსავალს კი როგორც ეგზოგენურ ფაქტორს ისე განიხილავს; მეორე, რომ მიმდინარე შემოსავლებსა და მოხმარებას შორის კავშირი „ძირითადი ფსიქოლოგიური კანონით“ განისაზღვრება. ამ ორი ჰიპოთეზიდან გამომდინარეობს, რომ მიმდინარე შემოსავლებიდან მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება ნულსა და ერთს შორის არის მოქცეული ($0 < b < 1$) და ჰიპოთეზა, მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილება შემოსავლის ზრდასთან ერთად კლებულობს[2, გვ.193].

კეინზიანურ მიდგომაში საკვანძო ადგილი უჭირავს „ეფექტური მოთხოვნის“ ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც წონასწორობა მიიღწევა ეფექტურ მოთხოვნაზე მოქმედი ფაქტორების და არა ფასების მოქნილი ცვლილებით, ხოლო არასრული დასაქმების მიზეზი საქონლისა და მომსახურების ბაზარზე არასაკმარისი ეფექტური მოთხოვნაა. აღნიშნულ მოსაზრებას იქამდე მივყავართ, რომ მიმდინარე შემოსავალი და მიმდინარე მოხმარება ეფექტურ მოთხოვნაზეა დამოკიდებული და დინამიკურ ეკონომიკაში ისინი ურთიერთგანმაპირობებელ ფაქტორებს წარმოადგენენ.

კლასიკურ მიდგომაში ფასებისა და ხელფასების მოქნილი ცვლილება უზრუნველყოფს სრული დასაქმების პირობებს და შემოსავლის პოტენციურ დონეს. რის საფუძველზეც კლასიკური თეორია არასაკმარის ეფექტურ მოთხოვნას არ მიიჩნევს მნიშვნელოვან ფაქტორად.

კეინზის მიერ ასე ფორმულირებული მოხმარების თეორია (აბსოლუტური შემოსავლის თეორია) არაერთხელ გახდა სხვადასხვა ეკონომისტის განსჯის საგანი (ს. კუზნეცი, რ.გოლდსმანი, ა.ანდო და სხვები). თუმცა მისი ვერც უარყოფა და ვერც დადასტურება ვერ მოხერხდა. აზრთა სხვადასხვაობის მიზეზი იყო სხვადასხვა ფაქტორებისა და გარემოებების მნიშვნელოვნება, კერძოდ: შემოსავლების უთანაბრობა და საზოგადოებაში მოხმარებისადმი განსხვავებული ზღვრული მიდრეკილების არსებობა, ის გარემოება, რომ ფირმების ქცევა არ ექვემდებარება ძირითად ფსიქოლოგიური კანონს და ამასთან შესაძლებელია თავად მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება და მაშასადამე მულტიპლიკატორი იყოს ცვლადი და არა მუდმივი სიდიდე. ასეთ სიტუაციაში ის ვერ იქნება, ეკონომიკური ქცევის და ეკონომიკური არასტაბილურობის განმაპირობებელი ფაქტორი.

კეინზიანური მოხმარების თეორიის კრიტიკის ახალი ტალღის და ნეოკლასიკური კონტრევოლუციის ერთ-ერთ საწყისად უნდა მივიჩნიოთ საიმონ კუზნეცის (Simon Smith Kuznets, 1901-1985) აღმოჩენა, რომლის მიხედვითაც ემპირიულად დასტურდება, რომ

მოსმარებისადმი საშუალო მიდრეკილება გრძელვადიან პერიოდში სტაბილური სიდიდეა. ამ გარემოებას „კუზნეცის პარადოქსი“ ეწოდა[3,გვ.116-117].

პოსტკეინზიანური ვერსიით, სადაც დანაზოგების განხორციელების მოტივში მომავლისადმი ოპტიმისტური და პესიმისტური განწყობები დიდ როლს თამაშობს, გრძელ და მოკლევადიან პერიოდებს შორის კავშირი შემდეგნაირად აიხსნება: ვინაიდან მომავალი გაურკვეველია, ადამიანები მოკლევადიან პერიოდში სიფრთხილის მოტივიდან გამომდინარე ზრდიან დანაზოგებს, მაშასადამე, მოსმარებისადმი საშუალო მიდრეკილება კლებულობს. გრძელვადიან პერიოდში კი როცა შემოსავალი დასტაბილურდება ისინი უბრუნდებიან სტაბილურ დანაზოგების ნორმას, რომელიც გრძელვადიანი მოსმარებისადმი საშუალო მიდრეკილებით გამოიხატება და სტაბილურ სიდიდეს წარმოადგენს[4,გვ.54-55].

ჯეიმს სტემბლი დუისენბერიმ (James Stemple Duesenberry, 1918-2009) თავის ფარდობითი შემოსავლის (relative income theory) თეორიით სცადა ახლებური მიდგომით აეხსნა საოჯახო მეურნეობების ქცევა[5]. რომლის მიხედვით ადამიანის გადაწყვეტილება მოსმარებასა და დანაზოგების შესახებ უპირატესად დამოკიდებულია მისი შემოსავლის სხვების შემოსავლებთან თანაფარდობაზე, ვიდრე ცხოვრების დონეზე და მიმდინარე შემოსავლებზე. თუ რამდენს მოიხმარს ადამიანი დამოკიდებულია საერთო შემოსავლების „ნამცხვარში“ მის წილზე; მეორე მხრივ, მოსმარება დამოკიდებულია არა მხოლოდ აბსოლუტურ და ფარდობით შემოსავლების დონეზე, არამედ, აგრეთვე წინა პერიოდის მოსმარების დონეზეც. დუისენბერი ამას შემდეგნაირად ხსნის: მას შემდეგ რაც მოსმარებელი შეიძენს ჩვევებს, ძნელია მათზე უარის თქმა. აქედან გამომდინარე, შემოსავლების რყევებს არაერთმნიშვნელოვანი გავლენა აქვს მოსმარების დონეზე. მოსმარებელთა გარკვეული ჩვევები მაღალი შემოსავლის პირობებში ყალიბდება, რომლებზეც უარს შემოსავლის კლების მიუხედავად ვერ ამბობენ. ეს ეფექტი მოსმარების შემდეგი ფუნქციით შეიძლება აღიწეროს: $\frac{C_t}{Y_{d,t}} = a + b \frac{Y_{d,t}}{Y_{max,t}} \Rightarrow C_t = aY_{d,t} + \frac{b}{Y_{max,t}} Y_{d,t}^2$. სადაც, $Y_{max,t}$ - შემოსავლის მაქსიმალური მნიშვნელობებია მიმდინარე პერიოდამდე.

ნეოკლასიკური თეორია არ ცდილობს მხოლოდ გრძელვადიანი და მოკლევადიანი მოსმარების ფუნქციების დაკავშირებას, ის აგრეთვე თავად მიმდინარე შემოსავლის როგორც მოსმარებაზე მოქმედი უმნიშვნელოვანესი ფაქტორის კრიტიკას გულისხმობს და მოსმარების თეორიის საკუთარი კვლევის მეთოდს ეყრდნობა. ნეოკლასიკური კონცეფციები ეყრდნობა ირვინგ ფიშერის (Irving Fisher, 1867-1947) მიერ ჩამოყალიბებულ

მომხმარებლის ქცევის და პროცენტის თეორიას. ამ თეორიის მიხედვით, საოჯახო მეურნეობები მთელი სასიცოცხლო ციკლის მანძილზე მოხმარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ, დროის ყოველი მოცემული მომენტის ყოველ მომდევნო პერიოდთან უპირატესობის მინიჭების საფუძველზე[6]. ამასთან მთელი სასიცოცხლო ციკლის მანძილზე მიღებული შემოსავლები არანაკლებია განხორციელებულ მოხმარებაზე, რაც შემდეგი სახით შეგვიძლია ჩავწეროთ:

$$C_0 + \sum_{t=1}^T \frac{C_t}{(1+r)^t} + \sum_{t=0}^T \frac{Y_t}{(1+r)^t} = \theta \Rightarrow C_0 = c\theta \Rightarrow C_{t0} = c\theta_t$$

ფრანკო მოდილიანის (Franco Modigliani, 1918-2003) მოხმარების სასიცოცხლო ციკლის თეორიის (life-cycle hypothese) მიხედვით ინდივიდები ცდილობენ თანაბარ დონეზე შეინარჩუნონ მოხმარება მთელი სასიცოცხლო ციკლის მანძილზე, აქედან გამომდინარე მთელი სასიცოცხლო ციკლის მანძილზე მიღებულ შემოსავალი დაყოფილია სამ კომპონენტად: მიმდინარე შემოსავლად (Y_t); მოსალოდნელ შემოსავლად ($Y_{e,t}$) და ქონებად (A_t) [7]. თეორიის მიხედვით, მოხმარებას განსაზღვრავს ეს სამი ძირითადი კომპონენტი: $C_t = a_1'Y_t + a_1''Y_{e,t} + a_2A_{t-1}$. თუ ამ ფუნქციას გარდავიქმნით, მისი სპეციფიკაცია შეგვიძლია შემდეგნაირად მოვახდინოთ⁴: $C_t = a_1'Y_t + a_1''Y_{e,t} + a_2A_{t-1}$, $Y_e = \beta'Y_t \Rightarrow C_t = (a_1' + a_1'')Y_t + a_2A_{t-1} \Rightarrow C_t = a_1Y_t + a_2A_{t-1} \Rightarrow C_t = a_1Y_t + (a_2 - a_1)Y_{t-1} + (1 - a_2)C_{t-1}$.

მილტონ ფრიდმანმა (Milton Friedman, 1912-2006) წამოაყენა თეორია, რომლის თანახმადაც ადამიანის მოხმარება სტაბილურია და არ არის დამოკიდებული მიმდინარე შემოსავლის ცვლილებაზე[9]. ფულის უკმარისობის კომპენსაციას ინდივიდი სესხის ადებით ახდენს, ხოლო შემოსავლის ზრდას დანაზოგების ზრდით. მილტონ ფრიდმანის პერმანენტული შემოსავლის თეორია (permanent income hypothese) ამტკიცებს, რომ საოჯახო მეურნეობების მოხმარება დამოკიდებულია, როგორც შრომის შედეგად, ისე ქონებიდან მიღებულ მიმდინარე და მომავალში მოსალოდნელ შემოსავალზე⁵: $C_t = cY_{p,t} \Rightarrow C_t = \gamma cY_t + (1 - \gamma)C_{t-1}$ სადაც, $Y_{p,t} = \gamma Y_t + \gamma(1 - \gamma)Y_{t-1} + \gamma(1 - \gamma)^2Y_{t-2} \dots = \gamma \sum_{\tau=0}^{\infty} (1 - \gamma)^\tau Y_{t-\tau}$.

⁴ $A_{t-1} = A_{t-2} + Y_{t-1} - C_{t-1} = A_{t-2} + Y_{t-1} - a_1Y_{t-1} - a_2A_{t-2} = (1 - a_2)A_{t-2} + (1 - a_1)Y_{t-1} = (1 - a_1) \sum_{\tau=0}^{\infty} (1 - a_2)^\tau Y_{t-\tau-1} \Rightarrow C_t - (1 - a_2) C_{t-1} = a_1Y_t - a_1Y_{t-1} + a_2(1 - a_1) \sum_{\tau=0}^{\infty} (1 - a_2)^\tau Y_{t-\tau-1} - a_2(1 - a_1) \sum_{\tau=1}^{\infty} (1 - a_2)^\tau Y_{t-\tau-1} \Rightarrow C_t = a_1Y_t + (a_2 - a_1)Y_{t-1} + (1 - a_2)C_{t-1}$ [8, გვ. 40].

⁵ $C_t = cY_{p,t}$, $Y_{p,t} = \gamma \sum_{\tau=0}^{\infty} (1 - \gamma)^\tau Y_t = \gamma Y_t + (1 - \gamma)Y_{p,t-1} \Rightarrow C_t = c\gamma Y_t + c(1 - \gamma)Y_{p,t-1} \Rightarrow C_t - (1 - \gamma)C_{t-1} = c\gamma Y_t + c(1 - \gamma)Y_{p,t-1} - c(1 - \gamma)Y_{p,t-1} \Rightarrow C_t = \gamma cY_t + (1 - \gamma)C_{t-1}$ [10, გვ. 55-56].

მოსმარების სტაბილურობის თეზისიდან გამომდინარეობს, რომ ინვესტიციებს არ ძალუძთ მულტიპლიკატორული გავლენა მოახდინოს მოხმარებაზე. ეს კი ეჭვქვეშ აყენებს ეკონომიკური კრიზისის კეინზიანურ ვერსიას და სახელმწიფოს მიერ მაკროპროპორციების, მოთხოვნის დონის და სამუშაო აქტივობის რეგულირების იდეას.

განსხვავება სასიცოცხლო ციკლის და პერმანენტული შემოსავლის კონცეფციებს შორის იმაში მდგომარეობს, რომ პერმანენტული შემოსავლის თეორია აგრეგირებულად განიხილავს ქონებიდან და ადამიანური კაპიტალიდან მიღებულ მიმდინარე და მოსალოდნელ შემოსავლებს და მას უქვემდებარებს საოჯახო მეურნეობების მხრიდან სამომხმარებლო არჩევნის პრობლემას. ის ეყრდნობა გამარტივებულ დაშვებას, რომ ცხოვრება უსასრულოდ გრძელდება. პერმანენტული შემოსავლის თეორიის ერთ-ერთი უმთავრესი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ პერმანენტული შემოსავალი ნაკლებად მგრძობიარეა კონიუნქტურული რყევების მიმართ, ვიდრე მიმდინარე შემოსავალი, რაც ეკონომიკისათვის ერთგვარ ანტიკრიზისულ „ჩაშენებულ სტაბილიზატორსაც“ წარმოადგენს. ძირითად განსხვავებას მიმდინარე და პერმანენტულ შემოსავალს შორის, ე.წ. „დროებითი შემოსავალი“⁶ წარმოადგენს, რომელიც უზრუნველყოფს დროში მოხმარების მაჩვენებლის გამოთანაბრებას.

სასიცოცხლო ციკლის და პერმანენტული შემოსავლის თეორიები ხსნიან კუზნეცის პარადოქსს. პირველი მათგანიდან გამომდინარეობს, რომ მოკლევადიანი მოხმარების ფუნქციის გადაადგილება ქონების სექტორის ზრდის ხარჯზე ხდება, ამასთან ქონების ზრდა და მიმდინარე შემოსავლის ზრდა გრძელვადიან პერიოდში პროგნოზირებადი დინამიკით ხასიათდება. შედეგად ქონების სექტორსა და მიმდინარე შემოსავლებს შორის გრძელვადიან პერიოდში თანაფარდობა სტაბილურია, საიდანაც მოხმარების საშუალო მიდრეკილების სტაბილურობის გარემოებაც აიხსნება; მეორე თეორიიდან გამომდინარე მოკლევადიანი მოხმარების ფუნქცია წარმოადგენს „დროებითი შემოსავლით“ გამოწვეულ ფიქციას. რადგან პერმანენტული შემოსავალი უფრო სტაბილური სიდიდეა ვიდრე მიმდინარე შემოსავალი.

სასიცოცხლო ციკლის და პერმანენტული შემოსავლის თეორია ეყრდნობა დაშვებებს, რომ საოჯახო მეურნეობებმა დანამდვილებით იციან მოსალოდნელი საპროცენტო განაკვეთისა და შრომითი შემოსავლის შესახებ. პერმანენტული შემოსავლის თეორიის მიხედვით ადამიანები შესაძლოა ადაფტური მოლოდინით სარგებლობდნენ, ამ შემთხვევაში ისინი გარკვეული დროითი პერიოდებით

⁶ დროებითი შემოსავალი ($Y_{t,tr}$) არის სხვაობა მიმდინარე (დაკვირვებად) შემოსავალსა და პერმანენტულ შემოსავალს შორის ($Y_{t,tr} = Y_t - Y_{t,p}$).

ორიენტირდებიან. რობერტ ემნესტ ჰოლის (Robert Ernest "Bob" Hall, 1943 -) მტკიცებით, საოჯახო მეურნეობები გადაწყვეტილებებს მოსალოდნელ საპროცენტო განაკვეთთან და შრომით შემოსავალთან მიმართებაში განუსაზღვრელობის პირობებში იღებენ[11]. განუსაზღვრელობას შრომით შემოსავალთან და საპროცენტო განაკვეთთან მიმართებაში მიყვართ მომავალი სამომხმარებლო ხარჯების განუსაზღვრელობამდე და შესაბამისად, მომავალი მოხმარების სარგებლიანობის განუსაზღვრელობამდე. უკანასკნელი მიუთითებს იმაზე, რომ საწყის პერიოდში საოჯახო მეურნეობა ვერ განსაზღვრავს ყველა მოხმარების სიდიდეს ($\sum C_t$), ამიტომ ისინი ხელმძღვანელობენ რაციონალური მოლოდინებით. კერძოდ, საოჯახო მეურნეობები მათ ხელთ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მუდმივად გადახედავენ საკუთარ გადაწყვეტილებას მომავალი პერიოდის მოხმარებასთან მიმართებაში. ჰოლის თეორიასაც ფიშერის მომხმარებლის ქცევის თეორია უდევს საფუძვლად, რომელიც შემდეგი სახის განტოლებამდე დაიყვანება ⁷: $C_{t+1} = \theta C_t + \varepsilon_{t+1}$. ჰოლმა ივარაუდა, რომ შემთხვევითი ცვლილებები მოხმარებაში წარმოადგენს მომავალი შემოსავლების გადაფასების შედეგს, შესაბამისად მხოლოდ პერმანენტულ შემოსავალზე მოქმედ ახალ ინფორმაციას შეუძლია გავლენა იქონიოს მიმდინარე მოხმარებაზე, ხოლო პერმანენტულ შემოსავალზე მოქმედი ფაქტორები ერთნაირად განაწილებული შემთხვევითი სიდიდეებია, რის გამოც მოხმარების დინამიკა „შემთხვევითი ხეტიალის“ (random walk) ტიპის პროცესით ხასიათდება. მიუხედავად იმისა, რომ მოხმარების „შემთხვევითი ხეტიალის“ ჰიპოთეზა⁸ წარმოადგენს პერმანენტული შემოსავლის თეორიის განზოგადებას განუსაზღვრელობის პირობებში, აღნიშნულმა თეორიამ მთლიანად უარყო ის მეთოდოლოგია რის საფუძველზეც ხდებოდა 50-70-იან წლებში მოხმარების ფუნქციის აგება. ჰოლმა თავის 1978 წლის ნაშრომში, აშშ-ს მაგალითზე 1948-1978 წლების მონაცემების საფუძველზე აგებული მოდელის მიხედვით⁸, დაამტკიცა, რომ წინა პერიოდის სიდიდეებით მომდევნო პერიოდის პროგნოზირება არ შეიძლება.

$$\begin{aligned}
 {}^7 c_t - c_{t-1} &= \frac{\lambda_1}{\lambda_2} (c_t^e - c_{t-1}) \Rightarrow \frac{\lambda_1}{\lambda_2} c_t^e - \frac{\lambda_1 + \lambda_2}{\lambda_2} c_{t-1} = \gamma c_t^e - (1 - \gamma) c_{t-1} \Rightarrow \Delta c_t = \gamma (c_t^e - y_{t-1}) + \gamma (c_{t-1} - y_{t-1}), \\
 c^e &= k + y_{t,p}, k = c - y \Rightarrow \Delta c_t = \gamma k + \gamma (y_{t,p} - y_{t-1}) + \gamma (c_{t-1} - y_{t-1}), y_{t,p} = y_t + y_T, y_T = \chi (\Delta y_t - \Delta y_{t-1}) \\
 \Rightarrow \Delta c_t &= \gamma k + \gamma \Delta y_t + \gamma \chi \Delta \Delta y_{t-1} + \gamma (c - y)_{t-1} \Rightarrow \Delta c_t = \beta' + \alpha_1 \Delta y_t + \alpha_2 \Delta \Delta y_{t-1} + \alpha_3 (c - y)_{t-1} \Rightarrow \frac{c_t}{c_{t-1}} = \\
 \beta' &\left(\frac{y_t}{y_{t-1}} \right)^{\alpha_1} \left(\frac{y_t y_{t-2}}{y_{t-1} y_{t-1}} \right)^{\alpha_2} \left(\frac{c}{y} \right)^{\alpha_3}, \frac{c_t}{c_{t-1}} = \lambda, \frac{c}{y} = K \Rightarrow C_t = \lambda^{\alpha_1} K^{\alpha_3} C_{t-1} \Rightarrow C_t = \theta C_{t-1} + \varepsilon_t
 \end{aligned}$$

⁸ ჰოლმა მოხმარების და განკარგვადი შემოსავლის კავშირის შესასწავლად შემდეგი სახის მოდელი ააგო: $C_t = 8.2 + 1.13C_{t-1} - 0.04C_{t-2} + 0.03C_{t-3} - 0.113C_{t-4}$ და $C_t = -23 + 1.076C_{t-1} + 0.049Y_{t-1} - 0.05Y_{t-2} - 0.023Y_{t-3} - 0.024Y_{t-4}$, რომლისთვისაც კოეფიციენტები სტატისტიკურად არამნიშვნელოვანი აღმოჩნდა[11,გვ.982].

მეჯორი ფლავინმა (Marjorie A. Flavin, 1953-) პოლის ტესტში ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ განტოლებების მარჯვენა მხარეს არ მონაწილეობდნენ C_t და Y_t კომპონენტები, მისი აზრით განხილულ უნდა ყოფილიყო მოხმარების დინამიკური განტოლება, რომელიც განიხილავს შემოსავლის ცვლილების გავლენას მოხმარების ცვლილებაზე[12]. ფლავინის აზრით პოლის განტოლების სპეციფიკაცია საჭიროებდა დაზუსტებას, კერძოდ მიმდინარე შემოსავალი უნდა განხილულიყო ენდოგენურ ფაქტორად. აღნიშნულ მოდელში განკარგავდი შემოსავალი მიჩნეულ იქნა ტრენდის მიმართ სტაციონალურ პროცესად, რისი გათვალისწინებითაც ფლავინის ტესტს შემდეგი სახე აქვს[12,გვ.998]:

$$\begin{cases} \Delta C_t = \gamma + \varphi_1 \Delta Y_t + \varphi_2 \Delta Y_{t-1} + \theta \varepsilon_{t+1} + e_{t+1} \\ Y_{t+1} = \alpha_0 + \alpha_1 Y_t + \alpha_2 Y_{t-1} + \varepsilon_{t+1} \end{cases}$$

თუ φ_1 და φ_2 პარამეტრები მნიშვნელოვანია, მაშინ გამოდის, რომ მიმდინარე მოხმარება უფრო მეტად რეაგირებს შემოსავლის წარსულ და მიმდინარე ცვლილებაზე ვიდრე ამას შემთხვევითი ხეტიალის ჰიპოთეზა ამტკიცებს. ამ ჰიპოთეზას „ჭარბი მგრძობიარობის“ (excess sensitivity) ჰიპოთეზა ეწოდა. აღნიშნული ჰიპოთეზის მიხედვით მოხმარება რეაგირებს არა მხოლოდ შემოსავლის მოულოდნელ ცვლილებებზე, არამედ ადრე განსჭვრეტილ მოსალოდნელ ცვლილებებზე⁹.

ანგუს სტიუარტ დიტონმა (Angus Stewart Deaton, 1945-) თავის ნაშრომში მოხმარების მაკროეკონომიკური მოდელის დროითი მწკრივები განიხილა სხვაობის მიმართ სტაციონალურ დროით მწკრივებად[10]. აღნიშნული მოდელის მიხედვით მოხმარება უფრო მეტად ხასიათდება რყევებით მიმდინარე შემოსავალთან შედარებით. მაშინ, როცა, ტრენდის მიმართ სტაციონალური მიმდინარე შემოსავლის პირობებში მოხმარება ნაკლებად ხასიათდება რყევებით მიმდინარე შემოსავალთან შედარებით. ამ ჰიპოთეზას „ჭარბი მერყეობის“ (excess volatility) ჰიპოთეზა ეწოდა. თუმცა განხილულ პარადოქსს დიტონის აზრით გააჩნია ახსნა, თუ მომხმარებლის ქცევა ხასიათდება შემთხვევითი ხეტიალის პროცესით, მოხმარების ცვლილება დაემთხვევა პერმანენტული შემოსავლის შოკს, რაც იმას ნიშნავს, რომ არ არის აუცილებელი პერმანენტული შემოსავალი უფრო ნაკლები რყევებით ხასიათდებოდეს მიმდინარე შემოვლის მიმართ. დიტონის აზრით „ჭარბი მგრძობიარობის“ და „ჭარბი მერყეობის“ ჰიპოთეზების წინააღმდეგობის მიზეზი არის მოდელში გაუთვალისწინებელი ის ფაქტორები, რომლებიც შეიცავენ მომავალში მისაღები შემოსავლის შესახებ ინფორმაციას.

⁹ დიტონის მიერ „ჭარბი მგრძობიარობის“ ჰიპოთეზის შემოწმების დროს უარყოფილ იქნა „შემთხვევითი ხეტიალი ჰიპოთეზა“[13,გვ.91].

პერმანენტული შემოსავლის ჰიპოთეზის შემოწმების მიმართულებით მნიშვნელოვანია ჯონ იანგ კემპბელის (John Young Campbell, 1958 -) და ნიკოლას გრეგორი მენქიუს (Nicholas Gregory Mankiw, 1958 -) ნაშრომი, სადაც ერთმანეთთან იქნა შედარებული ორი ალტერნატიული ჰიპოთეზა: პირველი მოხმარების ცვლილება განისაზღვრება მიმდინარე შემოსავლის ცვლილებით, მეორე მოხმარების ცვლილება განისაზღვრება „შემთხვევითი ხეტიალის ჰიპოთეზის“ შესაბამისად[11]. აღნიშნულ მოდელს შემდეგი სახე აქვს: $\Delta C_t = \lambda \Delta Y_t + (1 - \lambda)e_t$ მოდელის იდენტიფიცირებისათვის გამოყენებულ იქნა ორ საფეხურიანი უმცირეს კვადრატთა მეთოდი ინსტრუმენტული ცვლადის გამოყენებით, სადაც ინსტრუმენტულ ცვლად მიმდინარე მოხმარების ლაგური მნიშვნელობები გვევლინება. მოდელის მიხედვით λ -ს მნიშვნელობა დაახლოებით 0.5-ის ტოლია, აღნიშნულის შედეგად უარყოფილ იქნა ნულოვანი ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ მიმდინარე მოხმარების ცვლილებას არ განსაზღვრავს მიმდინარე შემოსავალი, თუმცა λ -ს დაბალი მნიშვნელობა მიანიშნებს იმაზე, რომ პერმანენტული შემოსავლის თეორია მნიშვნელოვანია მიმდინარე მოხმარების მახვენებლის დინამიკის განსაზღვრისათვის.

ჯონ შიამ (John Shea, 1964 -) „შემთხვევითი ხეტიალის ჰიპოთეზის“ შემოწმების დროს ყურადღება დაუთმო მიმდინარე შემოსავლის მოსალოდნელი ცვლილებების იდენტიფიკაციის პრობლემას, ამ მიზნით მან შეისწავლა დასაქმებულთა კონტრაქტები, სადაც ჩადებულია ხელფასის ზრდის ელემენტი და შეისწავლა რეგრესია მიმდინარე მოხმარების ზრდის ტემპსა და მოსალოდნელი ხელფასის ცვლილების ზრდის ტემპს შორის. „შემთხვევითი ხეტიალის ჰიპოთეზის“ მიხედვით აღნიშნული ცვლადების მაკავშირებელი კოეფიციენტი უნდა ყოფილიყო ნულის ტოლი, თუმცა შიამ მიიღო 0.89-ის ტოლი მნიშვნელობა, რომლის სტანდარტული შეცდომა 0.46-ის ტოლი იყო. მაშასადამე შიამ აღმოაჩინა სტატისტიკურად უმნიშვნელო, მაგრამ რაოდენობრივად მნიშვნელოვანი გადახრა „შემთხვევითი ხეტიალის ჰიპოთეზისაგან“[12,გვ.193].

თანამედროვე მაკროეკონომიკური კვლევების მიხედვით პერმანენტული შემოსავლის და შემთხვევითი ხეტიალის ჰიპოთეზებზე დაფუძნებული მოხმარების თეორია, ძირითადად ორი მიმართულებით განიცდის კრიტიკას. პირველი, რომ ის ვერ იძლევა აიხსნას ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს მოხმარებაზე. მეორე, რომ სხვადასხვა ფაქტორების მნიშვნელოვნება, რომელთა გათვალისწინებაც არ ხდება აღნიშნულ თეორიაში ასუსტებს პერმანენტული შემოსავლის როლს. ამ პრობლემატიკასთან დაკავშირებით აღსანიშნავია სიფროსილის

მოტივით განხორციელებული დანაზოგების ფენომენი, ლიკვიდობის შეზღუდვის პრობლემა, გადახრა სისტემის სრული ოპტიმიზაციისგან და სხვა.

სიფრთხილის მოტივით განხორციელებული დანაზოგების პრობლემა პირდაპირ კავშირშია მომავლის განუსაზღვრელობის პრობლემასთან. მომავლის განუსაზღვრელობის პირობებში ადამიანები ზოგავენ უფრო მეტს თუ იზრდება შემოსავლის შემცირების რისკი. ჰოლის მოდელში კი არ არის გათვალისწინებული აღნიშნული გარემოება კვადრატული მოხმარების სარგებლიანობის ფუნქციის გამოყენების გამო, რის შედეგადაც ჰოლის მოდელში მომხმარებლები შემოსავლის ცვლილების რისკის მიმართ ნეიტრალურები არიან. დიტონის ნაშრომში ნაჩვენებია, რომ ფრთხილი მომხმარებელი მოხმარებას დაიწყებს უფრო დაბალი დონიდან, მაგრამ ექნება უფრო აღმაავალი ტრენდი ვიდრე პერმანენტული შემოსავლის და შემთხვევითი ხეტიალის ჰიპოთეზებით არის დახასიათებული[13]. მნიშვნელოვანია კრისტოფერ კეროლის (Christopher D. Carroll, 1964-) ნაშრომი სადაც მან აჩვენა, რომ სიფრთხილის მოტივით განხორციელებული დანაზოგები ზრდიან მოსალოდნელ მოხმარებას. კეროლის აზრით სიფრთხილის მოტივი საკმაოდ ძლიერია და იმ შემთხვევაშიც თუ დისკონტირების ნორმა მაღალია, საოჯახო მეურნეობები არ იღებენ სესხს[17]. ამის მიზეზი ის არის რომ მომავალი პერიოდის შემოსავლების რისკის გამო საოჯახო მეურნეობები ცდილობენ აიცილონ თავიდან მომავალში დაბალი მოხმარება, რაც შეიძლება გამოწვეულ იყოს მიმდინარე პერიოდში სესხის აღებით.

ლიკვიდობის შეზღუდულობის პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ის აიძულებს მომხმარებელს დაკმაყოფილდეს დაბალი მოხმარების დონით, ვიდრე ეს ასეთი შეზღუდვის არ არსებობის პირობებში იქნებოდა შესაძლებელი. სტივენ ზაღლდესმა (Stephen P. Zeldes, 1978-) თავის ნაშრომში შემოგვთავაზა ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო მკაცრი პირობა, რომლის მიხედვითაც თუ ლიკვიდობის შეზღუდვას არ აქვს ადგილი მიმდინარე პერიოდში, მხოლოდ ის ფაქტი, რომ ეს შეიძლება მოხდეს ოდესღაც მომავალში, ამცირებს მიმდინარე მოხმარებას[18].

როგორც ვნახეთ ორივე შემთხვევაში დანაზოგების სიფრთხილის მოტივით და ლიკვიდობის შეზღუდვის მოლოდინით მოსალოდნელი შემოსავლის შემცირება უბიძგებს საოჯახო მეურნეობებს განახორციელონ ე.წ. “ბუფერული დანაზოგები”[17]. ამ კონცეფციების მნიშვნელოვანი დასკვნა იმაში მდგომარეობს, რომ მომხმარებელი მცირედი ბუფერული ქონების საშუალებით ახდენს მომავალი შემოსავლის რისკის დაზღვევას, ხოლო მოხმარება ძირითადად განისაზღვრება მისი განკარგვადი შემოსავლის დონით.

ლიკვიდობის შეზღუდვის პრობლემასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია შიას კვლევა. შიამ ააგო მოდელები მაღალი და დაბალი ლიკვიდური აქტივების მქონე ჯგუფებისათვის და დაბალ შემოსავლიანი საოჯახო მეურნეობისათვის, ხელფასის მოსალოდნელი კლების და ზრდის ჯგუფებისათვის[19]. ჩატარებული კვლევებით ლიკვიდობის შეზღუდვა, როგორც პერმანენტული შემოსავლის შემზღუდველი ფაქტორის მნიშვნელობა არ დადასტურდა.

დევიდ ისააკ ლაიბსონის (David Isaac Laibson, 1966-) მოხმარების დინამიკური შეუთანხმებლობის კონცეფციის მიხედვით საოჯახო მეურნეობები განუსაზღვრელობის პირობებში ხელმძღვანელობენ მცირე დროითი პორიზონტებით და ახორციელებენ მცირე დანაზოგებს მიმდინარე შემოსავლის რყევების ნიველირებისათვის[20]. მოკლევადიან დროით პორიზონტზე მათი ქცევა უფრო ხასიათდება პერმანენტული შემოსავლის თეორიით. გრძელვადიან პერიოდში კი მომხმარებლის ქცევა მეტი კეთილგონიერებით ხასიათდება.

მიუხედავად იმისა, რომ ფაქტორთა დიდი ერთობლიობა მოქმედებს მოხმარებაზე პერმანენტული შემოსავლისა და შემთხვევითი ხეტიალის ჰიპოთეზების უარყოფა არ შეიძლება. რისკის დაზღვევის ელემენტის ჩართვა პერმანენტული შემოსავლის და შემთხვევითი ხეტიალის ჰიპოთეზებს აფართოვებს, ამასთან ლიკვიდობის შეზღუდვა და სისტემის სრული ოპტიმიზაციისგან გადახრის პრობლემა, აბსოლუტური შემოსავლის, ფარდობითი შემოსავლის და სასიცოცხლო-ციკლის ჰიპოთეზებთან ერთად შეგვიძლია შემთხვევითი ხეტიალის ჰიპოთეზის კერძო შემთხვევებად განვიხილოთ, გარკვეული შეზღუდვების მნიშვნელოვნების გაფართოვების საშუალებით. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მაკროეკონომიკურ თეორიაში პერმანენტული შემოსავლის თეორიას არ უარყოფენ მოხმარების ერთიანი თეორია ვერ ჩამოყალიბდა.

საზოგადოების მხრიდან მოხმარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე მრავალი ფაქტორი ზემოქმედებს. კერძოდ, მიმდინარე შრომითი შემოსავლები, პერმანენტული შემოსავლები, ქონებიდან მიღებული შემოსავლები, მოსალოდნელი შემოსავლები, მოლოდინები მომავალში შემოსავლების დონესთან დაკავშირებით, სხვადასხვა ეგზოგენური შოკები, დანაზოგების დონე და სხვადასხვა დომინირებადი მოტივებით, საპროცენტო განაკვეთის დონე, უმუშევრობის დონე, ინფლაციის დონე და ა.შ. ეს გადაწყვეტილებები მიიღება გარკვეული შეზღუდვების პირობებში, როგორცაა: ლიკვიდობის მიღების შეზღუდვა, შემოსავლების უთანაბრობა, სამომხმარებლო საგნების არასრულფასოვანი ურთიერთშენაცვლება და სხვა.

ყოველივე ზემო აღნიშნული ცხადყოფს იმას, რომ ქვეყნის საბიუჯეტო-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების პროცესში, მნიშვნელოვანია მოხდეს მოხმარების ფუნქციაში მომხდარი ცვლილებებისა და არსებული მდგომარეობის, როგორც ქვეყნის მაკროეკონომიკურ პროცესებზე მოქმედი მნიშვნელოვანი ფაქტორის სიღრმისეულად გაანალიზება. ვინაიდან მოხმარების ფუნქციის ცვლილება, სამომხმარებლო ხარჯების შემცირება ან/და ზრდა ხშირ შემთხვევაში ეკონომიკური ციკლების მასტიმულირებელია, რაც საბოლოო ჯამში მაკროეკონომიკური წონასწორობის დარღვევას იწვევს.

მოხმარების მაკროეკონომიკური თეორიის ევოლუცია

შინაარსი

მოხმარების თეორიასა და მოხმარების ფუნქციას მაკროეკონომიკაში საკვანძო ადგილი უჭირავს. იგი მნიშვნელოვანია დანაზოგების ფუნქციისა და აქედან გამომდინარე საინვესტიციო რესურსების, გრძელვადიანი ეკონომიკური წონასწორობისა და მოკლევადიანი ეკონომიკური რყევების მიზეზების, პირობებისა და აგრეთვე, მულტიპლიკატორული ეფექტის ანალიზისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოხმარებისა და დანაზოგების თანაფარდობის პრობლემა უმნიშვნელოვანესია, როგორც გრძელვადიან, ისე მოკლევადიან პერიოდში ეკონომიკურ წონასწორობზე მოქმედი ფაქტორების და მიზეზების ანალიზისათვის.

ჩვენს მიერ მოხმარების თეორიის განხილვა სეის კანონის ანალიზიდან იწყება, ვინაიდან ის უდევს საფუძვლად კლასიკური სკოლის შეხედულებებს. კლასიკური თეორიის მიხედვით მოხმარება არის საპროცენტო განაკვეთის, მოგების ნორმის და ფასების დონის რთული ფუნქცია, რომელიც დამოკიდებულია საინვესტიციო შესაძლებლობებზე. კეინზიანურ თეორიაში კი მოხმარება არის მიმდინარე განკარგვადი შემოსავლის ფუნქცია, რომელიც საფუძვლად უდევს კეინზის ავტონომიური ხარჯების მულტიპლიკატორის იდეას. კეინზის თეორიის მიხედვით შემოსავლის ზრდასთან ერთად მცირდება მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილება. აღნიშნული იდეა უარყოფილ იქნა კუზნეცის მიერ ჩატარებული კვლევით, რომლის მიხედვითაც ჩვენები იქნა, რომ მოხმარებისადმი საშუალო მიდრეკილება სტაბილური სიდიდეა. ეს უაკანსკელი შემდგომში გახდა მოხმარების თეორიაში სხვადასხვა თეორიების ჩამოყალიბების საფუძველი: დიუსემბერის „ფარდობითი შემოსავლის“ თეორიის; მოდილიანის

„სასიცოცხლო ციკლისა“ და ფრიდმენის „პერმანენტული შემოსავლის“ ჰიპოთეზების და სხვა.

ფრიდმენის „პერმანენტული შემოსავლის“ ჰიპოთეზის განზოგადოება განუსაზღვრელობის პირობებისათვის მოხმარების „შემოთხვეითი ხეტიალის“ ჰიპოთეზის ჩამოყალიბებით მოახდინა რ. ჰოლმა. „შემოთხვეითი ხეტიალის“ ჰიპოთეზის შემოწმებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ფლავინისა, კემბელისა და მენქიუს კვლევები, რომლის მიხედვითაც უარყოფილ იქნა ნულოვანი ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ მიმდინარე მოხმარებას არ განსაზღვრას მიმდინარე შემოსავალი, თუმცა პერმანენტული შემოსავლი მნიშვნელოვანია მიმდინარე მოხმარების დინამიკის დახასიათებისათვის.

დიტონის კვლევაში ნაჩვენებია, რომ მიმდინარე მოხმარებაში ცვლილება პერმანენტულ შემოსავალში ცვლილებით აიხსნება, თუმცა მნიშვნელოვანია სხვა ფაქტორების გათვალისწინება, რომლებიც მომავალში მოსალოდნელი შემოსავლის შესახებ ინფორმაციას შეიცავენ.

მომხმარებელზე მოქმედი სხვა ფაქტორების ანალიზისას მნიშვნელოვანია კეროლის კვლევა, რომელმაც აჩვენა, რომ სიფრთხილის მოტივით განხორციელებული დანაზოგები, მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მოსალოდნელ მოხმარებაზე. ზაღდესის კვლევაში ნაჩვენებია ინქა, რომ ლიკვიდობის შეზღუდვა იმდენად მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ როდესაც მიმდინარე პერიოდში ლიკვიდობის შეზღუდვასაც კი არ აქვს ადგილი, მხოლოდ ის ფაქტი, რომ ეს შეიძლება ოდესღაც მომავალში მოხდეს, მიმდინარე პერიოდში ამცირებს მოხმარებას. ხოლო ლაიბსონის მოხმარების „დინამიკურის შეუთავსებლობის“ კონცეფციის მიხედვით საოჯახო მეურნეობები, განუსაზღვრელობის პირობებში ხელმძღვანელობენ მცირე დროითი ჰორიზონტებით და ახორციელებენ მცირე დანაზოგებს მიმდინარე შემოსავლის რყევის ნიველირებისათვის. ლაიბსონის აზრით, მოკლევადიან დროით ჰორიზონტზე მომხმარებელთა ქცევა, ხასიათდება უპირატესად პერმანენტული შემოსავლის თეორიით.

საზოგადოების მხრიდან მოხმარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე მრავალი ფაქტორი ზემოქმედებს. კერძოდ, მიმდინარე შრომითი შემოსავლები, პერმანენტული შემოსავლები, ქონებიდან მიღებული შემოსავლები, მოსალოდნელი შემოსავლები, მოლოდინები მომავალში შემოსავლების დონესთან დაკავშირებით, სხვადასხვა ეგზოგენური შოკები, დანაზოგების დონე და სხვადასხვა ფაქტორები. ეს გადაწყვეტილებები მიიღება გარკვეული შეზღუდვების პირობებში, როგორცაა: ლიკვიდობის მიღების შეზღუდვა, შემოსავლების უთანაბრობა,

სამომხმარებლო საგნების არასრულფასოვანი ურთიერთშენაცვლება და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მოხმარების თეორიის გარშემო მრავალი კვლევაა ჩატარებული მოხმარების ერთიანი თეორია ვერ დღემდე ჩამოყალიბდა.

Evolution of Macroeconomic Theory of Consumption

Nikoloz Ostapenko

Tbilisi State University, Master of Art in Economic
Founder and Member of board of Georgian National Bureau of
Economic Research (GBER)

Sulkhan Tabaghua

Tbilisi State University, Master of Art in Economic
Founder and Executive Director of Georgian National Bureau of
Economic Research (GBER)

Summary

Consumption theory and consumption function are the keys of macroeconomics. It's important to analyze savings functions and therefore, investment resources, long-term economic equilibrium, as well as conditions of short-term economic fluctuations and multiplier effect. Accordingly, the problem of the relationship between consumption and savings is essential to analyze the causes and factors of short and long-term economic equilibrium.

We start the analyse of the theory of consumption from the Jean-Baptiste Say views, because it is the basis of idea of the classical school of economic. According to the classical theory, consumption function is the complicated function of interest rate, profit-rate and price-level, which depends on investment opportunities. In Keynesian theory consumption is a complicated function of current disposable income and this is the base of Keynes autonomous expenditure multiplier. according to the Keynesian theory the higher the income gets the lower the average propensity of consumption is. This idea was rejected by the Kuznets, which show that the average propensity of consumption is stable value. This idea later became the basis of Duesenberry's "relative income" theory, Modigliani's "life-cycle" and Friedman's "permanent income" hypothesis formation.

Friedman's "permanent income" hypothesis in the conditions of uncertainty materialized by Hall according formation of "random walk" hypothesis. Due to the "random walk" hypothesis close-up examination it's important to analyze Flavin, Campbell and Mankiw research, which rejected zero hypothesis about current consumption isn't being determined by current income, but permanent income is important in the process of characteristic of current consumption dynamics.

Based on research of Deaton, changes in the current consumption can be explained by changes in the permanent income, but it's also vital to analyze the consideration of other factors, which contain information about future income.

In this case important research was done by Carroll, who analyzed other factors affecting the consumption, according to the precautionary saving motive, have a significant impact on the expected consumption. Zeldes' research showing that the liquidity constraint is such an important factor and in the current period when liquidity restriction does not even have a place, only the fact that it can happen in the future, reduces current ongoing consumption. According to "dynamic inconsistency" concept by Laibson, that households in conditions of uncertainty guided by short-term horizon make small savings for current income fluctuations leveling. Laibson, thinks that in the short-term horizon behavior of consumers, mainly characterized by permanent income theory.

Many factors influence consumption decision-making process of community. Particularly, the current labor income, permanent income, property income, expected income, expectations for future revenue levels, a variety of exogenous shocks, savings level, and other factors. These decisions are made under certain restrictions, such as: liquidity constraints, income inequality, insufficient interaction between the consumer goods substitutability. No matter how much research has been done around the consumption theory, no common theory has been established yet.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Блауг М. Экономическая мысль в ретроспективе. Масква, Дело Лтд, 1994.
2. Кейнц Дж. М. Конец laissez-faire. Масква, Директмедиа Паблишинг, 2008.
3. Kuznets S., (assisted by Epstein L. and Jenks E.) National Product Since 1869. New York, National Beureau of Economic Research, 1946.
4. Тарасевич Л.С., Гребенников П.И., Леусский А.И. МАКРОЭКОНОМИКА. Москва, Высшее образование, 2006.
5. Duesenberry J. S. Income, saving and theory of consumer behavior, Cambridge, Massachusetts, Harvard University Press, 1949.
6. Fisher I. The Theory of interest. Clifton, Augustums. Kelley Publishers. 1974.
7. Modigliani F. Life Cycle, Individual Thrift, and the Wealth of Nations. American Economic Review, 1986, vol. 76, no. 3.
8. Hadjimatheou G. Consumer Economics after Keynes. New York. St.martin's Press, 1987.
9. Friedman M. A Theory of the Consumption Function. Princeton, Princeton University Press, 1957.
10. ანანიაშვილი ი. მაკროეკონომიკა (ნაწილი I). თბილისი. "უნივერსალი", 2002.
11. Hall R. E. Stochastic Implications of the Life Cycle - Permanent Income Hypothesis: Theory and Evidence. Journal of Political Economy, 1978, vol.86, no.6.
12. Flavin M. A. The Adjustment of Consumption to Changing Expectations About Future Income. Journal of Political Economy, 1981, vol.89, no.5.
13. Deaton A. Understanding Consumption. Oxford, Clarendon Press. 1992.
14. Deaton A. Life-Cycle Models of Consumption: Is the Evidence Consistent with the Theory. National Beureau of Economic Research, 1986, Working Paper No. 1910.
15. Campbell J. Y., Mankiw N. G. The Response of Consumption to Income: A Cross-Country Investigation. European Economic Review, 1991. vol.35, no.4.
16. Shea J. Union Contracts and the Life Cycle – Permanent Income Hypothesis. American Economic Review 85 (March 1995).
17. Carroll C.D., The Buffer-Stock Theory of Saving: Some Macroeconomic Evidence. Brookings Papers on Economic Activity 1992(2).
18. Zeldes, S. P. Consumption and Liquidity Constraints: An Empirical Investigation. Journal of Political Economy, 1989. Vol. 97, no.2.
19. Shea J. Myopia, Liquidity Constraint, and Aggregate Consumption: A Simple Test. Journal of Money, Credit and Banking. 1995, Vol 27 Issue 3
20. Laibson, D. Golden Eggs and Hyperbolic Discounting. Quarterly Journal of Economics, 1997. Vol. 112, issue 2.